



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 7

ქ. ბათუმი

2018 წლის 20 აპრილი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**ე ს წ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიმიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი- ა. ვანაძე;  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, (მთავარი არქიტექტორი) უფროსის მ/შ - მ. მეტრეველი;  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი- ე. ქავჭარაძე;  
ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზისათვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმის (სტრატეგიული გეგმა) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე,  
(მთავარი არქიტექტორი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

5. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე,  
(მთავარი არქიტექტორი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 0

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ გააკეთა განცხადება მერიის უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, კერძოდ: ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო საჯარო ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა და კოლეგებს მოუწოდა საკითხით დაინტერესებულებიყვნენ. გამოითხოვეს ინფორმაცია ა(ა)იპის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებიც მათ მიიღეს დაშტრიხული ფორმით, სადაც არ ჩანს მოიჯარის შესახებ ინფორმაცია და მიუთითეს, რომ თითქოს აღნიშნული წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს. როგორ შეიძლება მუნიციპალიტეტის იურიდიულმა პირმა მონაცემები სრულად არ გაანდოს საკრებულოს მაშინ, როდესაც საკრებულო არის მერის მაკონტროლებელი ორგანო. მერს თხოვნით მიმართავენ, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მოთხოვნის საფუძველზე გასცენ საჯარო ინფორმაცია, რადგან არსებობს გონივრული ეჭვი კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით კორუფციასთან და ნეპოტიზმთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრის ნ. დუმბაძის განცხადებით მერს გასული წლის დანაპირები შეახსენა და აღნიშნა, რომ ბონის დასახლებაში ქვეითებისთვის ხიდი უნდა გაკეთებულიყო, თუმცა სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადებები განხილული იქნება შესაბამის ორგანოებთან, რათა დროულად მოხდეს გადამოწმება და რეაგირება.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გააკეთა განცხადება ბონის დასახლებაში წრიულთან მოძრაობის თაობაზე, სადაც ოთხი მხრივ მოძრაობაა და შექმნილია უკიდურესად რთული ვითარება, უბედურების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით მისაქცევია ყურადღება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.**

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზისათვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი, ითვალისწინებს სახელის მინიჭებას, შესაბამისი აბრის - „ლუკა ასათიანის სახელობის სხდომათა დარბაზი“ - შესასვლელ კარზე განთავსებასა და სხდომათა დარბაზში თვალსაჩინო ადგილზე ლუკა ასათიანის პორტრეტის გამოფენას. მისი განცხადებით, 1901 წელს, როდესაც ლუკა ასათიანი გარდაიცვალა, მაშინდელი ქალაქის სათათბიროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბათუმის სათათბიროს სააქტო დარბაზში თვალსაჩინო ადგილზე გამოფენილიყო ლუკა ასათიანის პორტრეტი და შემდეგში ეს გადაწყვეტილება აღა-სრულეს კიდევ. ჩვენ ვეცადეთ, გაგვერკვია ამ პორტრეტის ბედი, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ხელმოსაჭიდ წყაროებს ვერ მივაკვლიეთ. ვფიქრობთ, რომ სხდომათა და-რბაზისთვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭება და დარბაზში მისი პორტრეტის განთავსება, ბათუმის წინაშე მისი ღვაწლის დაფასების კიდევ ერთი დადასტურება იქნება, მით უმეტეს, რომ 28 აპრილს ბათუმს ქალაქის სტატუსის მინიჭებიდან 130 წელი უსრულდება. თუკი საკრებულო ამ საკითხზე მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, 28 აპრილს აბრა დარბაზის კარზე განთავსდება, ხოლო, რაც შეეხება პორტრეტს, აპარატი და კომისია მოიწვევს დარგის სპეციალისტებს და გადაწყდება, ვინ უნდა შექმნას ლუკა ასათიანის პორტრეტი.

აღნიშნული განკარგულების პროექტის ინიციატორი განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაა, ხოლო პროექტის ავტორი - ბათუმის საკრებულოს აპარატი.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ ფრაქციის სახელით მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს პროექტის ავტორობისათვის.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე ინიციატივას უერთდება და აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს დაუჭერს წარმოდგენილ სამართლებრივ აქტს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

## 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმის (სტრატეგიული გეგმა) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭავაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში, ქალაქმა დაადასტურა მკაფიო ინტერესი მწვანე ურბანული განვითარებისა და მდგრადი ურბანული ტრანსპორტის მიმართ. აღნიშნული ინტერესის საფუძველზე 2015 წელს ქალაქ ბათუმში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით, დაიწყო პროექტი „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). განმახორციელებელი პარტნიორები კი არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმში მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებულ დაგეგმვას, საპილოტე ღონისძიებების განხორციელებას და ბათუმის ქცევას მდგრადი ურბანული გადაადგილების წარმატებულ მაგალითად.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა წინამდებარე - ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა (iSUMP), რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონის დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური, თითქმის 3 წლიანი, კონსულტაციების, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტებისა და კონსულტანტების მიერ ჩატარებული კვლევების, ანალიზის, მოდელირებისა და შეფასებების შედეგს.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს შემდეგი ათწლეულისთვის (2018-2030) ქალაქ ბათუმში მდგრადი ურბანული გადაადგილების განვითარების სტრატეგიულ გეგმას. მისი მიზანია: ყველა მოქალაქისთვის ისეთი სტრანსპორტო გადაწყვეტების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ძირითად დანიშნულების ადგილებთან და მომსახურებასთან წვდომას; ურბანული ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და დაცულობის გაუმჯობესება; ჰაერისა და ხმაურით დაბინძურების, სათბური აირების ემისიებისა და ენერჯო მოხმარების შემცირება; მგზავრთა და ტვირთის ტრანსპორტირების ეფექტიანობისა და ხარჯების ეფექტურობის გაუმჯობესება; მოქალაქეების, ეკონომიკისა და ფართო საზოგადოების საკეთილდღეოდ, ურბანული გარემოს მიმზიდველობისა და ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა.

დოკუმენტი იწყება სტრატეგიის ჩარჩოს მიმოხილვით. გრძელდება ხედვის, ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრით და აყალიბებს ინდიკატორებს მდგრადი ურბანული გადაადგილების ღონისძიებების შესაფასებლად. თავში „მოქმედების არეალები“ ღონისძიებების წარმოდგენამდე მოცემულია ბათუმში ურბანული გადაადგილების კვლევის შედეგები. მდგრადი ურბანული გადაადგილების ღონისძიებების წარმოდგენისა და შეფასების შემდეგ, გამოკვლეული და გაანალიზებულია განვითარების კონკრეტული შესაძლო სცენარები. ბოლო თავი მოიცავს ბათუმში ურბანული გადაადგილების განვითარების ჩარჩო სამოქმედო გეგმას შესაბამისი ღონისძიებებით, უფლებამოსილებებს, დაფინანსებისა და შეფასების გეგმას.

მოცემული სტრატეგიული დოკუმენტი დაახლოებით 1 წლიანი კვლევების, შეფასებების და მოდელირების შედეგად დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საბოლოო შედეგია, რომელიც მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს: ბათუმში შინამეურნეობათა გადაადგილების კვლევის განხორციელება, ბათუმის 4 საფეხურიან ტრანსპორტზე მოთხოვნის მოდელი (პირველი საქართველოში), დაბალემისიებიანი მდგრადი ურბანული სატრანსპორტო დერეფნისა და ავტობუსების ქსელის ოპტიმიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავება, ბათუმში პარკირების ახალი სტრატეგია და პოლიტიკა და საპილოტე ღონისძიებების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავება, დაბალემისიებიანი მდგრადი სატრანსპორტო დერეფნებისთვის ფუნქციონალური გეგმის შემუშავება, ინტეგრირებული, უსაფრთხო და გაფართოებული ველოქსელის ფუნქციონალური გეგმის შემუშავება, ბათუმში ელექტროტაქსის სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.

როგორც ვხედავთ, მოცემული სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავდა ინტეგრირებული და მრავალსექტორული მიდგომით, იგი წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონის დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური, თითქმის 3 წლიანი, კონსულტაციების, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტებისა და კონსულტანტების მიერ ჩატარებული კვლევების, ანალიზის, მოდელირებისა და შეფასებების შედეგს. წინამდებარე iSUMP დოკუმენტია, რომელიც აჯამებს და აერთიანებს ზემოხსენებულ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მდგრადი ურბანული გადაადგილების (პარკირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ველოსიპედით სიარული) - შემადგენელ კონცეფციაში, ისეთ დამატებით საკითხებთან ერთად, როგორებიც არის ფეხით გადაადგილება, ელექტრომობილობა, სატვირთო ტრანსპორტი, ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები, მობილობის მართვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

პარკირებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაცია, მათ შორის ავტობუსისათვის გამოყოფილი სპეციალური სავალი ზოლები, ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს ქალაქში კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებაზე. მდგრადი ურბანული გადაადგილებისაკენ ყველაზე ეფექტური ღონისძიებებია ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილება. ველო ქსელის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება, ველოსიპედის გაზიარების გაფართოება და ქვეითა პირობების გაუმჯობესება ბათუმში მდგრად მობილობაზე საუკეთესო გავლენას გვპირდება. მეორადი დადებითი ეფექტები მოსალოდნელია ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების გამოყენებისაგან, ვინაიდან მას შეუძლია ხელი შეუწყოს კერძო ტრანსპორტის ორგანიზებასა და თავისუფალ ნაკადებს. გადაადგილების მართვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა ადამიანებისთვის საკვანძო საკითხებია - ინფორმირებისა და განმარტების გარეშე სატრანსპორტო სისტემისა და ურბანული გადაადგილების ტრანსფორმაციის წარმატება ნაკლებ სავარაუდოა.

სცენარების გაანგარიშებები და შედარებები მიდგომებს - „როგორც არის ისე დავტოვოთ“ და „განვავითაროთ საშუალო/სრულად მდგრადი ურბანული გადაადგილება“ შორის უჩვენებს, რომ არსებობს სასწრაფო მოქმედების საჭიროება. თუკი შენარჩუნდება ავტომობილების ფლობის 5-8%-იანი ზრდის ტენდენცია, ადგილი ექნება კერძო ტრანსპორტის საგრძნობ ზრდას და ქუჩებში გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ საცობებს, ვიდრე ამჟამადაა. ცხოვრების ხარისხი დაიწვეს; ბათუმის მსგავსი ტურისტული ქალაქისთვის ეს ნამდვილად ცუდი სცენარია. ამიტომ დაუყოვნებელი მოქმედება არის საჭირო.

გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, პროექტის „მწვანე ქალაქების“ იმ საბიუჯეტო რესურსიდან, რომელიც განკუთვნილია მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საპილოტე ღონისძიებების თანადაფინანსებისათვის, ასევე საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სამართლებრივ აქტზე ორი თვის განმავლობაში საჯარო განხილვა მიმდინარეობდა ყველა შესაბამისი უწყების წარმომადგენლებთან ერთად.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა, ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებულ გეგმასთან დაკავშირებით, პარკირების ადგილების თარიღის განსაზღვრასთან და შუქნიშნებთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა წარმოადგენს საერთაშორისო და თვითმმართველობების წარმომადგენლების მიერ ჩატარებული კვლევების, ანალიზის, მოდელირების, შეფასებებისა და დაგეგმვის შედეგს. დოკუმენტის მიხედვით, ყველა მოქალაქისთვის უნდა მოხდეს ისეთი სატრანსპორტო სისტემის შეთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს: -დანიშნულების ძირითად ადგილებთან და მომსახურებასთან წვდომას; გააუმჯობესებს ურბანული ტრანსპორტის უსაფრთხოებას; შეამცირებს ხმაურისა და ჰაერისა დაბინძურებას, სითბური აირების ემისიებს და ენერგო მოხმარებას; გააუმჯობესებს მგზავრთა და ტვირთის ტრანსპორტირების ეფექტიანობასა და შეამცირებს შესაბამის ხარჯებს; გაზრდის ბათუმის ურბანული გარემოს მიმზიდველობასა და ხარისხს. სტარტეგიული გეგმის შექმნის შემდეგ მერიაში ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც მუშაობს გეგმიდან გამომდინარე იმ სატრანსპორტო საკითხებზე, რაც ქალაქს ეხება, 2018-2019 წლებში პირველ რიგში დაგეგმილია პარკირების ორგანიზება, გამოინახება პარკირების ადგილები, სხვადასხვა ქუჩებზე პარკირების ზონირება და.ა.შ.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით, რაზედაც



მომხსენებელმა განმარტა, რომ პარკირების ზონირება და საათობრივი გადასახადი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაცია, მათ შორის ავტობუსებისათვის გამოყოფილი სპეციალური სავალი ზოლები, ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს ქალაქში კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზებაზე, ხოლო ველოქსელის გაუმჯობესება და მისი შემდგომი განვითარება, ასევე, ქვეითთა პირობების გაუმჯობესება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს დაუჭერს წარმოდგენილ გეგმას, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ შენიშვნები და ხარვეზები. გამომდინარე იქედან, რომ ყველა ჩვენგანის მთავარი ამოცანაა ბათუმში პრობლემების გადაჭრა. შენიშვნების გათვალისწინებას მოითხოვს სტრატეგიული გეგმის შესრულების განმავლობაში.

სხდომის თავმჯდომარე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ეს არის ათწლიანი პროექტი. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე მოხდება მისი კორექტირება და დახვეწა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ წამოაყენა წინადადება მე-3 საკითხის განხილვისას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ან ვიცე-მერის სხდომაზე დასწრების თაობაზე, რის გამოც მოითხოვა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერს კანონმდებლობით აქვს უფლება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით დანიშნოს წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 11<sup>50</sup> სთ.

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა საქმეებიდან გამომდინარე ქ. ბათუმის მერი და ვიცე-მერი ვერ მიიღებს საკრებულოს სხდომაში მონაწილეობას, მე-3 საკითხის მომხსენებელია მერის წარმომადგენელი ა. ვანაძე, ნებისმიერ კითხვაზე პასუხის მიცემა იგივე მერის პოზიციას. თუ წამოიჭრება პრობლემური საკითხი, სადაც აუცილებელია მერის ჩართულობა, დამატებით მოწვეული იქნება ბათუმის მერი.

საკრებულოს წევრს მ. ქამადაძეს მიაჩნია, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის განხილვა გადაიდოს უახლოეს სხდომაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მერის გამოუცხადებლობის გამო, საკითხის განხილვაში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს მონაწილეობას და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა საკრებულოს წევრებმა მ. ქამადაძემ და ნ. დუმბაძემ.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 2017 წლის ანგარიში წარმატებულია, შედეგები შესრულებულია 97%-ით და სწორედ ეს არის საბაზი სხდომის დატოვებისა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესრულების პროცენტი მაღალია და წარმატებულია, რაც ათეული წლის განმავლობაში ბათუმის ბიუჯეტს არ ჰქონია, ამდენად კითხვები არ იყო მეტი და მიზეზად სხდომის დატოვება არჩიეს.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

### 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24/03/2017 №5; 31/05/2017 №9; 28/06/2017 №11; 05/07/2017 №26; 31/07/2017 №28; 21/08/2017 №31; 29/11/2017 №40 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,473.3 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 168,637.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,577.2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 162,700.4 ათასი ლარი.

2017 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 36,860.6 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება - 8,983.6 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება - 19,178.4 ათასი ლარი;
- ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 14,651.9 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 8,820.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1,845.9 ათასი ლარი;
- ქალაქის დაგეგმარება - 679.6 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 145.1 ათასი ლარი;

განათლება:

- სკოლამდელი განათლება - 13,210.8 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 139.9 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 11,695.4 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4,450.6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 270.2 ათასი ლარი;

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა:

- ჯანმრთელობის დაცვა 3,916.6 ათასი ლარი;
  - სოციალური უზრუნველყოფა - 8,626.3 ათასი ლარი;
  - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 586.4 ათასი ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (8,161.1 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (20,464.9 ათასი ლარი), ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (12.5 ათასი ლარი).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 168,637.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2017 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 30,914.9 ათასი ლარი (შემოსულობების 18.3%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 82,154.5 ათასი ლარი (შემოსულობების 48.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 42,428.4 ათასი ლარი (შემოსულობების 25.2%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 13,139.7 ათასი ლარი (შემოსულობების 7.8%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 154,743.3 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 155,497.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე

მოდის 30,914.9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 31,300.0 ათასი ლარის 98.8%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 18.3%-ს.

2017 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 40,161.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 34,397.1 ათასი ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;
- სპეციალური ტრანსფერი - ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5,222.0 ათასი ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;
- სპეციალური ტრანსფერი - 542.3 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 14 აგვისტოს #162 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლება ბარაკი №32-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული 12 ოჯახის (ჯემალ ხიმშიაშვილის ოჯახი - 7,342 ლარი, ნანული ბურჭულაძის ოჯახი - 3,936 ლარი, ზურაბ შავაძის ოჯახი - 4,051 ლარი, თამაზ დიასამიძის ოჯახი - 6,443 ლარი, ტატიანა ვახლინას ოჯახი - 1,152 ლარი, გარეგინ მხიტარიანის ოჯახი - 5,219 ლარი, მახმუდ ჯაიანის ოჯახი - 2,431 ლარი, ჯუმბერ ჯაიანის ოჯახი - 3,298 ლარი, ირაკლი ჯაყელის ოჯახი - 9,998 ლარი, ნანული მახარაძის ოჯახი.

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 13 სექტემბრის №195 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, ხანძრის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახისათვის (დაბა ჩაქვში, გოგოლიშვილის ქ. №22-ში მცხოვრები ხათუნა არძენაძის ოჯახი - 5 000 ლარი და მამია კომახიძის ქ. №120-ში მცხოვრები ნაზი თავაძის ოჯახი - 5 000 ლარი) დახმარების გაწევის მიზნით - 10,000 ლარი.

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 22 სექტემბრის №204 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩაზე, გაზის აფეთქების შედეგად დაზარალებული 8 (ემზარ სალაევის ოჯახი - 32,772 ლარი, (რევაზ დიასამიძის ოჯახი - 98,526 ლარი, ჯემალ დიასამიძის ოჯახი -13,242 ლარი, მავილე ნაკაშიძის ოჯახი - 11,987 ლარი, ფატი ნაგერვაძის ოჯახი - 9,398 ლარი, ნარგული ძირგვაძის ოჯახი - 13,171 ლარი, ლილი სალაევას ოჯახი - 162,179 ლარი, ჯუმბერ სალაძის ოჯახი - 118,237 ლარი) ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - 459,512 ლარი.

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 017 წლის 16 ოქტომბრის №220 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულების საფუძველზე გაცემული ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდით წამლობითი ღონისძიებების გატარების მიზნით - 16,000 ლარი.

2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 4,650.8 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმს შორის გაფორმებული

ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა ბათუმთან შემოერთებული ტერიტორიების მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის შესახებ.

საკრებულოს წევრმა ი. მიქელაძემ აღნიშნა, რომ წინა მოწვევის მერმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა, ქალაქში ყველა შემოერთებულ ტერიტორიაზე მოწესრიგდა ქუჩების ინფრასტრუქტურა, ასევე სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები.

საკრებულოს წევრი თ. დევაძე მიესალმება ჭაობის რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას, მან დასვა შეკითხვა მელიქიშვილისა და ლადო ასათიანის კვეთის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლ. ასათიანის ქუჩის კეთილმოწყობა გათვალისწინებულია ბიუჯეტში, ტენდერი გამოცხადებულია და თვის ბოლომდე სამუშაოები დაიწყება, არის რიგი ქუჩები, რომელთა მოასფალტება მოხდება წელს. ასევე ბაგრატიონის ქუჩიდან მ. ვარშანიძის ქუჩამდე გზის კეთილმოწყობა ასახული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 1(ა. მამულაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, (მთავარი არქიტექტორი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო სს „აჭარის კურორტების“ მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება მწვანე კონცხის ტერიტორიაზე განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი ფოტომასალით და დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მწვანე კონცხის ტერიტორიაზე, მოიცავს ექვს საკადასტრო ერთეულს, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდები: №N05.35.25.033; 05.35.25.034; 05.34.25.038; 05.34.25.036; 05.34.25.697 და 05.34.25.039.). მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საკურორტო სარეკრეაციო ზონას, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის, კერძოდ მწვანე კონცხის განვითარებას საკურორტო-სარეკრეაციო მიმართულებით, მისი მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების გათვალისწინებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

5. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, (მთავარი არქიტექტორი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ელიტ კონსტრაქშენ გრუპ“-ს (ს/კ N445514658) მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება მწვანე კონცხის ტერიტორიაზე

განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი ფოტომასალით და დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მწვანე კონცხის ტერიტორიაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო ერთეულს, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 05.34.25.664). მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საკურორტო სარეკრეაციო ზონას, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის, კერძოდ მწვანე კონცხის განვითარებას საკურორტო-სარეკრეაციო მიმართულებით, მისი მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:  
თებიძე

სულიკო

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი



